"რეალურად ეროვნული ბანკი ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტი გახდება"

წარმოდგენილია ახალი კანონპროექტი, მაგრამ არ გვაქვს პროექტის კვალიფიციური ექსპერტიზა. არადა, ექსპერიმენტი ეხება ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას, ფოთის პორტის გაყიდვას და საქართველოს კარიბჭის, იგივე მთავარი პორტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნას, ანუ ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას. მაგრამ მთავრობას, რომელიც ამ პროექტის განხორციელებას აპირებს, არა აქვს არანაირი საპროგნოზო გათვლები, რას მოუტანს ეს ექსპერიმენტები ქვეყანას, რა საფრთხეების შემცველია ისინი, რა პრევენციებია დაგეგმილი და რა ხორციელდება მათგან. ყოველ შემთხვევაში, მე ამის თაობაზე, ამ დღეებში და არც მანამდე, არც ლადო გურგენიძისგან მომისმენია, არც ეკა შარაშიძისგან და არც ნიკა გილაურისგან, რომ აღარაფერი ვთქვა ამ ექსპერიმენტის დიდ არქიტექტორსა და დიდ მაგისტრზე, აწ უკვე მთავრობის კანცელარიის უფროსზე და საქართველოს ფაქტობრივ პრემიერ-მინისტრზე კახა ბენდუქიძეზე. ვინ უნდა შეაფასოს ეს დიდი ექსპერიმენტი, იმათ, ვისაც ეს შეუძლია, არავინ უსმენს. მაგრამ ჩვენ მაინც შევაფასოთ იგი, იქნება და ვინმემ გაგვიგოს. გაზეთი „ბანკები და ფინანსები" პარლამენტარს, პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.

- ბატონო ლადო, ამ ბოლო დროს თქვენი არაერთი განცხადება მოვისმინე და წავიკითხე, სადაც მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ბევრ მომენტს მცდარად მიიჩნევთ და ეჭვქვეშ აყენებთ. პასუხი არავისგან მოგვისმენია. როგორ ფიქრობთ, რა არის ეს, ხელისუფლების სტილი, თუ ვითარების ადეკვატური შეფასების უუნარობა?

- ალბათ, არც ერთია გამორიცხული და არც მეორე, მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს უფრო სტილია. ისინი წარმოადგენენ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას და ჰგონიათ, რომ კრიტიკული შენიშვნების მოსმენა არ სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, მე ჩემს პოზიციას, თუნდაც ტელევიზიით, თუნდაც გაზეთებით ვფიქსირებ იმიტომ, რომ საზოგადოებამ სხვა შეხედულებაც იცოდეს. თორემ ჩემი ლაპარაკით რომ არაფერი შეიცვლება, ფაქტია. რაც არ უნდა ვილაპარაკო, მთავრობა მაინც არ შეისმენს.

- ვიდრე მთავარზე და არსებითზე ვისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ, ბრძანდებით თუ არა კვლავ უმრავლესობის წევრი და თუ არ ბრძანდებით, მაშინ რა სტატუსით აგრძელებთ მოღვაწეობას პარლამენტში. თუ გაწევრიანდით რომელიმე ფრაქციაში?

- რაც პარლამენტი იქნა არჩეული, უმრავლესობის წევრი გახლდით. თუმცა, კარგა ხანია, ჩემი გადაწყვეტილებები, იქნებოდა ეს კენჭისყრა, თუ აზრის დაფიქსირება, ყოველთვის არ ემთხვეოდა უმრავლესობის პოზიციებს. ვთვლიდი, პარლამენტში ვიყავი იმიტომ, რომ ჩემი პოზიცია დამფიქსირებინა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით, უმრავლესობის ლიდერებისგან პრობლემა არასოდეს მქონია. უმრავლესობაში ჩემს ყოფნას ჩემი პოზიციების დაფიქსირებისას ბარიერი არ შეუქმნია. თუმცა, როდესაც 5 ნოემბერს განვაცხადე, რომ ხალხის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს და გამოსავალი მხოლოდ ამაშია-თქო, უმრავლესობამაც განაცხადა, რომ ეს იყო მხოლოდ ჩემი პირადი აზრი და ისინი ამას არ იზიარებდნენ. მე საჭიროდ ჩავთვალე დამეტოვებინა უმრავლესობის რიგები. ამას ავტომატურად მოჰყვა ჩემი თანამდებობიდან გადადგომა, ვინაიდან საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე – ეს ის თანამდებობაა, რომელიც ფრაქციის წევრზეა მიკუთვნებული. მე გამოვედი ფრაქციიდან. იმ დღიდან ვარ დამოუკიდებელი, უფრაქციო დეპუტატი. არც ერთ ფრაქციაში არ გავწევრიანებულვარ. ჩემი რომელიმე ფრაქციაში გაწევრიანება ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში ჩამაყენებდა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი ნაციონალებთან. თუმცა, პარლამენტში არის ისეთი ოპოზიციური პარტიები, რომელთა შეხედულებებიც მე ძალიან მოშწონს, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველა საკითხზე.

- ფრაქციის გარეშე მყოფი დეპუტატი ლადო პაპავა როგორ შეაფასებს ახალ ეკონომიკურ გუნდს. მაგალითად, როგორ დახასიათებთ ლადო გურგენიძეს, ეკა შარაშიძეს, ნიკა გილაურს, ალეკო ზეთაგურს, პეტრე ცისკარიშვილს. საერთოდ, რატომ არ არიან ახალ ეკონომიკურ გუნდში ეკონომისტები. როგორც მე ვიცი, ეკონომისტები მრავლად არც მათ მრჩეველთა რიგებში არიან. უფრო მეტიც, ჯანდაცვის ახალი მინისტრი სანდრო კვიტაშვილი, როგორც ამბობენ, განათლებით ისტორიკოსია და შემდეგ რაღაც მართვის სკოლა დაუთავრებია შტატებში. რა არის ეს, ესეც სტილია, თუ საერთოდ, რასთან გვაქვს საქმე?

- დავიწყებ იმით, რომ ჩემთვის ეს გუნდი ახალი არ არის. მართალია, რამდენიმე ახალი სახეა. მაგრამ გუნდი ახალი რომ არ არის, ეს გამოჩნდა იმ საპროგნოზო დოკუმენტით, რომლითაც მთავრობა წარსდგა პარლამენტში და პარლამენტის მხარდაჭერა მოითხოვა. თქვენ რა გვარებიც ჩამოთვალეთ, მათი ერთნაირად დახასიათება შეუძლებელია. ზოგზე, ალბათ, უფრო პოზიტიურადაც შეიძლება მაგალითების მოყვანა, ზოგზე ნაკლებად. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ სტილი არ იცვლება. მე ნამდვილად არ შემიძლია ბევრი ვისაუბრო, თუნდაც ეკონომიკის ახალ მინისტრზე. საკმაოდ დიდი ხანია იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციაშია და თითქმის არასდროს გამოჩენილა. მე ქალბატონმა ეკამ თავისი ერთი გამოსვლით დამამახსოვრა თავი. როდესაც 2006 წლის ზაფხულში პრეზიდენტი სააკაშვილი გამოვიდა ე. წ. დასაქმების პროგრამის ინიციატივით, რომელსაც რეალურად არავინ დაუსაქმებია და ეს უბრალოდ უმუშევართათვის წინასაარჩევნო პერიოდში შემწეობა იყო. სწორედ მაშინ მახსოვს ქალბატონი ეკას სატელევიზიო გამოსვლა, სადაც მან, ასე ვთქვათ, განავითარა ამ პროგრამის იდეა და შეეცადა მისი მიზანშეწონილობა დაესაბუთებინა, რითაც, ცხადია, თავი კარგად ვერ დამამახსოვრა. და თუ ასეთი ადამიანი მოდის მთავრობაში, არც არაფერი იცვლება. ე.წ. ფინანსური პაკეტიც სწორედ ამას ადასტურებს. ერთ ნიუანსსაც მივაქციოთ ყურადღება, რასაც ბატონი კახა ბენდუქიძის ფენომენი ჰქვია, რომლის შეუმჩნევლობაც შეუძლებელია. თუ ის ადრე იყო სახელმწიფო მინისტრი რეფორმების დარგში, უფრო ადრე კი ეკონომიკის მინისტრი, დღეს, ასე ვთქვათ, ფორმალურად ჩამოალაბორანტეს და გახადეს მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელი. ეს, რა თქმა უნდა, იერარქიულად დაბალი თანამდებობაა, მაგრამ იმ ფუნქციით, რაც დაეკისრება, რეალურად ის იქნება ჩრდილოანი პრემიერ-მინისტრი. მოგეხსენებათ, მთავრობის სხდომა საჭიროებს, თუნდაც ფორმალურად, მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელისგან დადასტურებას ყველა იმ საკითხზე, რომელიც მთავრობის სხდომის დღის წესრიგში უნდა შევიდეს. ნუ დაგვავიწყდება თვითონ მის მიმართ ლადო გურგენიძის შეფასება. მან ბატონ კახაზე ბრძანა, რომ ის არის იდეების გენერატორი და დარჩება მის თანამებრძოლად. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ნათელია. მთავრობა ახალი არაა, რაც შეეხება მათ ეკონომიკურ განათლებას, ესეც ცალსახა არაა. მთავრობაში არიან ისეთებიც, ვისაც საკმაოდ კარგ უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ ეკონომიკური განათლება მიღებული. შემთხვევითი ხალხი ნამდვილად არაა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვიტყვით: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო". ფიცი მწამს, რომ მართლა აქვთ კარგი ეკონომიკური განათლება, მაგრამ ბოლო ეჭვს ბადებს. ისწავლეს, მაგრამ შეისწავლეს კი?!

- მოდით, დავუბრუნდეთ მთავარს და არსებითს – საფინანსო პაკეტი. კანონპროექტი გლობალურ ცენტრად საქართველოს ქცევის შესახებ, ანუ გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ. როგორ ფიქრობთ, ამით სისტემის რეფორმა ხდება თუ საქმე გვაქვს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან და ამ თემასთან დაკავშირებულ სხვა მომენტთან მიმართებაში ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანასთან?

- დავიწყოთ იმით, რომ ამ პაკეტში, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში, არის ერთი ასეთი კანონი, რომელსაც „გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ" ჰქვია. სინამდვილეში ეს კანონპროექტი სულაც არ არის კანონპროექტი. ეს არის უფრო განმარტებითი ბარათი. მე ვერ წარმომიდგენია, პარლამენტმა თუ ეს მიიღო, რა უნდა მიიღოს. მიიღოს განცხადება იმის შესახებ, რა ცვლილებები უნდა შევიდეს სხვა კანონებში? კანონი იმის შესახებ, რა ცვლილებები უნდა შევიდეს სხვა კანონებში ცოტა არ იყოს, კურიოზულია. რაც შეეხება კონკრეტულ ცვლილებებს, ამ პაკეტში ისინი უხვადაა და მათი გამოწვლილვითი განხილვა და ანალიზი ვეჭვობ, ამ ინტერვიუს ფორმატმა დაიტიოს.

- ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით მაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა. ეროვნული ბანკის ლიკვიდაციის, ე. წ. სავალუტო საბჭოს ფარის იდეა უარყოფილ იქნა. აღსანიშნავია, რომ ამაში თქვენმა გამოსვლებმა და პუბლიკაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ცვლილებები მაინც ეხება ეროვნულ ბანკს. კერძოდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ორნიშნა ინფლაციის დაფიქსირების შემთხვევაში, ავტომატურად მიდის დაკავებული თანამდებობიდან. ბანკთა ბანკი, როგორც ასეთი, ეროვნული ბანკი შინაარსობრივად ვეღარ იქნება. იზრდება მისი დამოკიდებულების ხარისხი სამთავრობო სტრუქტურებისადმი, მთავრობისადმი, არის ათასი სხვა მომენტი, რომელიც სებ-ის დამოუკიდებლობას აკნინებს. ამ ცვლილებებს როგორ შეაფასებდით?

- სავალუტო ფარით დავიწყებ, ეს არის სისტემა, როცა საკმაოდ გრძელვადიანი პერიოდისთვის ფიქსირდება მკაცრად ჩამოყალიბებული, განსაზღვრული ერთი გაცვლითი კურსი, რომელიმე ერთ ვალუტასთან მიმართებაში. აქ შესაძლებელია საუბარი იყო დოლარსა და ევროზე. სავალუტო ფარის პირობებში, როდესაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს, შემოვა დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, მაშინ, უნდა მოხდეს ფიქსირებული კურსით მისი გადაცვლა. ანუ შემოდის დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, დიდი ოდენობით ეროვნული ვალუტა უნდა გაყიდო. შემოდის მცირე ოდენობით, ის კურსი რომ შეინარჩუნო, შენი რეზერვებიდან უნდა გაყიდო ეს უცხოური ვალუტა, რომ შეინარჩუნო გაცვლითი კურსის სტაბილურობა. ამ შემთხვევაში ინფლაციის პრობლემა მთავრობის მხრებზეა. ცნობილია, რომ როდესაც შემოდის სავალუტო ფარის მექანიზმი, მთავრობას უნდა ჰქონდეს პროფიციტული ბიუჯეტი, ანუ საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის ხარჯებს. რაც გვაქვს, იმაზე მეტს ვერ დავხარჯავთ. პროფიციტის აკუმულირება მოხდება სპეციალურ ფონდში და მიმდინარე წელს ის არ უნდა დიახარჯოს. ამით ინფლაციის რეგულირება უნდა მოხდეს, სავალუტო ფარს ის პლიუსი აქვს, რომ ყველა მეწარმე, ყველა ინდივიდი არის გარანტირებული, რომ უცხოური ვალუტა არის ერთი კურსით და ამიტომ ის ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამავე დროს, სავალუტო ფარი არის დაუცველობის, საფრთხის მომტანი. საკმარისია რომელიმე მეზობელ ქვეყანაში რაღაც კრიზისული ელემენტები გაჩნდეს, უკვე იმ ქვეყნიდან წამოვა საფრთხე, რადგან შენთან არსებული ფიქსირებული კურსის გამო დაიწყება დიდი ოდენობით მყარი ვალუტის გადინება. არგენტინაში, რომელსაც სავალუტო ფარი ჰქონდა, მექსიკის კრიზისმა სწორედ ამ კუთხით იმოქმედა. საქართველოში ბოლო წლებში უცხოური ვალუტის შემოდინება საკმაოდ დიდი იყო. სებ-ის რეზერვები 2005 წლის დასაწყისში 200 მლნ. იყო, 2007 წლის შემოდგომაზე მილიარდ ნახევარი. ამის საფუძველი ის არის, რასაც მსოფლიოში ჰოლანდიური დაავადება ჰქვია, ანუ როდესაც ქვეყანაში უცხოური ვალუტა დიდი ოდენობით შემოდის. უცხოური ვალუტა კი, როგორც წესი, მაშინ შემოდის, როდესაც ექსპორტი გაქვს განვითარებული. ჩვენთან ასე არაა, უცხოური ვალუტა ბოლო პერიოდში ინვესტიციების სახით შემოდიოდა. ანუ, უცხოელი ჩამოდის, ყიდულობს, დაუშვათ მიწას, იხდის ფულს, ბუნებრივია, მას ჩამოაქვს დოლარი, მაგრამ ქართული კანონმდებლობით ერთადერთი საგადამხდელო საშუალება ლარია, ამიტომ გაჩნდა დამატებითი მოთხოვნა, ანუ შემოდიოდა დიდძალი ოდენობით უცხოური ვალუტა. სებ-ს ეს პროცესი თავის დინებაზე რომ მიეშვა, ლარი კიდევ უფრო გამყარდებოდა და არ იყო გამორიცხული, დღეს 1 დოლარი 1 ლარიც კი ყოფილიყო. რაც ჩვენი ისედაც მწირი ექსპორტისთვის დამანგრეველი იქნებოდა. ექსპორტისთვის ცუდია, როცა ეროვნული ვალუტა მყარდება. ამით იმპორტს ეწყობა ხელი. სწორედ ამის თავიდან აცილების მიზნით სებ-ი ყიდულობდა უცხოურ ვალუტას, ანუ ყიდდა ლარს. ამით კი ინფლაციას უწყობდა ხელს. ამ შემთხვევაში მთავარი იყო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, რომ მართლა ჰქონოდა პროფიციტული ბიუჯეტი, ანუ ამოეღო ფული მეტი გადასახადების სახით, რაც მთავრობას არ განუხორციელებია.

„მთავრობა სარგებლობს იმით, რომ ეროვნულ ბანკს პრეზიდენტი არ ჰყავს და ჩქარობს, ეს ინსტიტუტი რაც შეიძლება მალე დაასუსტოს"

„ახალი ეკონომიკური გუნდი ის შემთხვევაა, როდესაც ვიტყვით: ''ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო''. ფიცი მწამს, რომ მახსოვს აქვთ კარგი ეკონომიკური განათლება, მაგრამ ბოლო ეჭვს ბადებს. ისწავლეს, მაგრამ შეისწავლეს კი?!''

„იმ ფუნქციით, ბენდუქიძეს რაც დაეკისრება, ხვალიდან ის იქნება ჩრდილოანი პრემიერ-მინისტრი''

რასაც ნიშნავს ის, რომ პირდაპირ კანონში ჩაიწეროს, თუ ინფლაციამ ორნიშნა რიცხვს გადააჭარბა, ფინანსთა მინისტრი აყენებს სებ-ის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხს. ეს არის პრაქტიკულად ის, რომ ფორმალურად სებ-ი იქნება დამოუკიდებელი, მაგრამ რეალურად ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტი გახდება. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კი ამ დეპარტამენტის დირექტორი, რომელიც თვალებში უნდა შესციცინებდეს მთავრობას, რომ რაიმე პოპულისტური მიზნებით რაღაც ხარჯები არ გაწიოს, რომლის შემდეგ საკმარისი ინსტრუმენტები სებ-ის ხელში აღარ აღმოჩნდება. ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

თუ საუბარია პასუხისმგებლობებზე, მე მაგალითად, ასეთი მოდელი უფრო მომეწონებოდა. სებ-ის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის დაყენების უფლება ჰქონდეს პრემიერ-მინისტრს და ამავდროულად სებ-ის პრეზიდენტსაც ჰქონდეს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენების უფლება. ამ კანონპროექტში რა გააკეთეს იცით? ფულად-საკრედიტო პოლიტიკას პარლამენტი ამტკიცებდა. ახლა უკვე არც ეროვნული ბანკის საბჭოა მისი განმსაზღვრელი და დამამტკიცებელი. ამას გააკეთებს ეროვნული ბანკის კომიტეტი, რომელიც არის პრაქტიკულად ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა და მისი აპარატის ხელმძღვანელები, ანუ ეროვნული ბანკის დაკნინება ხდება. პარლამენტს ეუბნებიან, შენი საქმე ეს არ არის, ეს აპარატის საქმეა მთავრობასთან ერთად. რაც პრაქტიკულად საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაცაა.

- როგორ ფიქრობთ, თუ ეს პაკეტი იქცევა კანონად, ან მანამდე, ან პოსტ-ფაქტუმ, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებებიც ალბათ, განხორციელდება კიდეც.

- პოსტ-ფაქტუმ, რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება. თუ ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების პრეტენზია გვაქვს, კონსტიტუციაზე მაღლა არაფერი არ უნდა დავაყენოთ. ახლა სებ-ს პრეზინდეტი არ ჰყავს. მთავრობა ამით სარგებლობს და ჩქარობს, ეს ინსტიტუტი რაც შეიძლება მალე დაასუსტოს. აქედან გამომდინარე, როდესაც ახალი პრეზიდენტი მოვა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ის უკვე ძლიერ მარწუხებში იქნება მოქცეული.

- როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო არჩევნებამდე დაინიშნება თუ არა სებ-ის პრეზიდენტი?

- თუ მთავრობამ მოახერხა ეროვნული ბანკის ისე დაკნინება, როგორც ეს კანონში აქვს ჩადებული, რა თქმა უნდა, დაინიშნება. თუ ვერ მოახერხა, მაშინ ნაკლებია იმის შანსი, რომ დანიშნონ. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ დიდი იმედი მაქვს, ეს კანონპროექტი ასეთი ფორმით არ იქნება მიღებული.

- მოდით, ასეთი რამ წარმოიდგინეთ, თქვენ დაგვალათ მთავრობის ეკონომიკური გუნდის ჩამოყალიბება, როგორი ეკონომიკის შექმნას შეეცდებოდით?

- ეს კითხვა კეთილი ზრახვებით გამოთქმულ ბოროტ ხუმრობას უფრო წაგავს, რადგან ეს ევალება ქვეყნის პრეზიდენტს და მე კი ამისი არც სურვილი და არც ამბიცია არ გამაჩნია. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ვიტყვი, რომ მე ვიზიარებ ევროპის ფასეულობებს. საქართველო ევროკავშირისკენ უნდა მიისწრაფოდეს, მაგრამ არა მხოლოდ სიტყვიერად. როდესაც ქვეყანაში გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, მის გაუქმებას ვეწინააღმდეგებოდი, რადგან მიმაჩნდა, რომ ეს არის შეცდომა. ვიცით, რომ კონკურენცია მონოპოლიას ყოველთვის წარმოშობს, ამიტომ აუცილებელია მარეგულირებელი ორგანო. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება რეფორმა კი არა, ეს არის ნგრევა. ნგრევაა ისიც, რასაც სებ-ს უკეთებენ, რაც სტატისტიკის დეპარტამენტს გაუკეთეს, როდესაც ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარეს და რასაც უნდათ, იმ ციფრებს აწერინებენ. აი, ჩემთვის ასეთი ტიპის ეკონომიკა მიუღებელია. ჩემთვის მთავარია ევროპული ფასეულობები, საბაზრო ეკონომიკის ის ტიპი, რაც ევროპაშია. მხოლოდ ეს გზა იქნება ქვეყნის შიდა პრობლემის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი.

- საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვდგომია. აპირებთ თუ არა პოლიტიკაში დარჩენას და თუ აპირებთ, ან თუ არ აპირებთ, მაინც, თქვენი პოლიტიკური სიმპათიები რომელი პოლიტიკური ძალისკენ იხრება?

- საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ნამდვილად აღარ ვაპირებ. ამას აქვს თავისი მიზეზი. ბოლო დროს საკმაოდ აქტუალურია ბევრი პოპულისტური ლოზუნგი, რომელთაც არანაირი დასაბუთება არა აქვს, ეს ჩემთვის მიუღებელია. ამიტომ რთულია ჩემთვის მოიძებნოს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომ მე მათი ეკონომიკური პოლიტიკის მიღება უპირველესად შევძლო. ამავე დროს ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია და დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იყოს რამდენიმე ადამიანი, მათ შორის მეც, რომლებიც თავისუფლად ვესაუბრებით ჩვენს ხალხს იმ პრობლემებზე, რაც ქვეყნის ეკონომიკას აქვს. მე ვგრძნობ, რომ პარლამენტარის სტატუსმა შეზღუდა ჩემი სამოქალაქო აქტიურობა. ამიტომ აქტიურ პოლიტიკაში მოღვაწეობას უახლოეს პერიოდში არ ვაპირებ. ჩემი პოლიტიკური სიმპათიაც, ცხადია, მაქვს. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ესენი არიან პირველ რიგში, რესპუბლიკელები და ახლები. მე მათ ყველა პოზიციას არ ვიზიარებ, მაგრამ, მუხედავად ამისა, არის ძალიან ბევრი საკითხი, რის გამოც ჩემთვის ეს ორი პოლიტიკური ძალა უფრო მისაღებია. ამით არავის ვაყენებ შეურაცხყოფას. პირიქით, რაც უფრო ფართო სპექტრი იქნება პარლამენტში წარმოდგენილი, მით უკეთესი. ეს პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ესაუბრა
გიორგი ცაგარეიშვილი